წარმართული და ადრე ქრისტიანული ოფიციალური რელიგიების ურთიერთმიმართება გვიან ანტიკური ხანის ალექსანდრიის სოციო-პოლიტიკურ ლანდშაფტში

ალექსანდრე ქავთარაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის ანთროპოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო აბაკელია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2013 წელი

აბსტრაქტი

საკვანძო სიტყვები: ალექსანდრია, ბერძულ-რომაული კულტები, ადრექრისტიანული ეკლესია

კვლევის ობიექტს ძველი **სა**მყაროს ერთ-ერთი ყველაზე კოსმოპოლიტური ქალაქის-ალექსანდრიის რელიგიური ცხოვრება წარმოადგენს გვიან ანტიკურ ხანაში და მოიცავს რამდენიმე სპეციალურ საკითხს: ალექსანდრიაში რელიგიური კულტების გავლენას ქალაქის სოციო-პოლიტიკურ სივრცე**სა** და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. აგრეთვე, რა მიმართება არსებობდა წარმართულ და ქრისტიანულ რელიგიებს შორის; როგორ იცვლებოდა რელიგიური ლანდშაფტი გარეშე პოლიტიკური ირიბი თუ პირდაპირი ჩარევების შედეგად; როგორ ხდებოდა რელიგიური კულტების მეშვეობით ძალაუფლების ლეგიტიმაცია; როგორ გახდა ერთ დროს დევნილი რელიგია მდევნელად და სხვა.

გვიან ანტიკური პერიოდის ალექსადნრიის რელიგიური ცხოვრების ანალიზი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ეს საშუალებას იძლევა ახსნილ იქნას თანამედროვე სეკულარულ სამყაროში მიმდინარე პროცესებიც, რომელშიც თითქოს-და რელიგია განდევნილია საჯარო (პოლიტიკური) სივრციდან, თუმცა ზოგგან კვლავ აქტიურ როლს თამაშობს და ისევ რჩება ძალაუფლების ლეგიტიმაციის მოპოვების წყაროდ.